

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონ შალვა პაპუაშვილს

მოქალაქის მაკა მინდიაშვილის

პ/ნ [REDACTED]

მისამართი: [REDACTED]

საკონტაქტო ინფორმაცია: [REDACTED]

E-mail: [REDACTED]

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგესალმებით ბატონო შალვა, მე ვარ მაკა მინდიაშვილი. გავკადნიერდები და მოგმართავთ თხოვნით, რომ განიხილოთ ჩემი განაცხადი სახალხო დამცველის ვაკანტურ თავამდებობაზე.

1997-2001 წლებში ვსწავლობდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დავამთავრე საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით. 2002-2004 წლებში ვსწავლობდი ამავე სპეციალობის მაგისტრატურაზე, თუმცა დადიპლომი ვერ ავიღე, რადგან მაგისტრატურის ნაშრომის დაცვისთვის თანხა ბოლომდე ვერ გადავიხადე, ეკონომიური გაჭირვების გამო.

მოკლედ მოგიყვებით ჩემს პოლიტიკურ მოღვაწეობას, რომელიც აქტიურად დაიწყო 2013 წლიდან. 2012 წლამდე არ ვყოფილვარ არცერთ პოლიტიკურ პარტიაში და არც პოლიტიკურ საქმიანობას ვეწეოდი.

2012 წელს, მთავრობის ცვლილებასთან ერთად გადავწყვიტე, რომ ჩემი დაგროვილი ცოდნა, წლების განმავლობაში, გამოიმეყენებინა ჩემი რაიონისათვის, კონკრეტულად კი ჩემი სოფლისთვის და გამგებლის ვაკანტურ თანამდებობაზე მეცადა ბედი, რის შემდეგაც ქ. გურჯაანის გამგეობაში განაცხადი შევიტანე. 2013 წლის მარტში ჩაინიშნა კანდიდატებთან გასაუბრება, რის შედეგადაც მე არ შემარჩიეს, რადგან უკვე ოპოზიციაში გადასულ პოლიტიკურ პარტიასთან, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ კავშირში დამდეს ბრალი, რაც იყო ტყუილი, მაგრამ ეს იყო მიზეზი, რადგან ნეპოტიზმით შერჩეული თავისი კანდიდატი გაეყვანათ, რომელიც დღემდე ამავე სოფლის გამგებელია, ჯერ კიდევ იმ დროიდან დღემდე. ეს იყო ჩემი პირველი პოლიტიკური იმედგაცრუება.

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისნაკომისიის დეპარტამენტი
შემოს. № 1-11910/22
"20 09 2022" ფურს 3

2013 წელს, საპრეზიდენტო არჩევნებისთვის გავწევრიანდი ოპოზიციურ პარტიაში და დამნიშნეს ქ. გურჯაანის, სოფელი ახაშენის კოორდინატორად, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან, სადაც ვმუშაობდი დავით ბაქრაძის კანდიდატურის გამარჯვებისათვის. მამაცური ბრძოლის გამო დავიმსახურე, ჯერ კიდევ იმ დროისთვის საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილისაგან ღირსების მედალი.

2013 წლის დეკემბერში, თბილისში დაბრუნების შემდეგ გავწევრიანდი არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალ ზონაში“, სადაც ვიყავი აქტივისტი და გამგეობის წევრიც გავხდი.

2016 წლის 5 მაისიდან, როდესაც გიორგი ვაშაძე გამოეყო პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“, მე გადავწყვიტე მასთან ერთად გავერთიანებულიყავი. ჩავთვალე, რომ ეს იყო შანსი პოლიტიკურ სივრცეში გაჩენილიყო ახალი ძალა, ახალი ხალხით, რომელიც სამართლიანად იბრძოლებდა არსებული უსამართლობის წინააღმდეგ, თუმცა ისევ შიდან გარიგებების საფუძველზე, ამ პარტიამ თავისი მომავალი მოისპო. რის შემდეგაც მალევე დავტოვე პარტია და ისევ გავაგრძელე განახლებულ არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალ ზონაში“ პოლიტიკური მოღვაწეობა. სადაც შანსი მომეცა, ორი წლის შემდეგ, აღნიშნული ორგანიზაციის ქუდის ქვეშ გამეკეთებინა საკუთარი არასამთავრობო ორგანიზაცია „ხალხის ხმა“, რომელიც დღემდე იბრძვის მშრომელი ხალხის უფლებებისთვის.

2018 წლის სექტემბერში პარლამენტში, ჩემი სახელით, შევიტანე პირველი საკანონმდებლო წინადადება შრომის კოდექსის ცვლილებებზე, სადაც კონკრეტულად მქონდა გაწერილი ის მუხლები, რომელიც ჩასწორებას საჭიროებდა.

2018 წელს, საპრეზიდენტო არჩევნების პირველ და მეორე ტურში, თბილისში ვიყავი საბურთალოს რაიონში ერთ-ერთ უბანზე კომისიის წევრი, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“.

2019 წელს კვლავ შევიტანე პარლამენტში, იგივე საკითხზე, საკანონმდებლო წინადადება, ამ წელს უკვე ორჯერ. ასევე შევიტანე კაზინოებისთვის რეგულაციების საკითხზე, ხელფასის ინდექსაციაზე და საათობრივი მინიმალური ანაზღაურების დაკანონებაზე. თუმცა ჩემს მცდელობებს არანაირი ქმედება არ მოჰყოლია მთავრობის მხრიდან.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ვიყავი ქ. გურჯაანის, სოფელი ახაშენის კოორდინატორი პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“.

2020 წელს, 30 ნოემბრიდან საპარლამენტო არჩევნების შედეგს ვაპროტესტებდით და ვიყავი აქტიური თანამონაწილე კარვების ქალაქის, რომელიც პარლამენტთან გაიშალა. თუმცაღა ოპოზიციურმა პარტიებმა არ გაითვალისწინეს ჩვენი ლეგიტიმური ბრძოლა და 2021 წელს პარლამენტში მაინც შევიდნენ, რამაც ყოველ აქტივისტს ბრძოლის სურვილი გაგვიქრა, მაშინ ჩვენ მათგან ძალიან იმედგაცრუებულები დავრჩით. ისინი ამ ნაბიჯს პოლიტიკური პროცესების

აუცილებლობით ამართლებდნენ, რასაც დღემდე შინაგანად არ ვეთანხმები და მიმაჩნია, რომ ეს მათგან ძალიან დიდი პოლიტიკური შეცდომა იყო.

2021 წლის აგვისტოში, ზემოთ აღნიშნულმა, პარტიამ შემომთავაზა, რომ თვითმართველობის არჩევნებში მონაწილეობა მიმეღო, რასაც დავთანხმდი. 2021 წლის ოქტომბრის არჩევნებში ვიყავი მაჟორიტარობის კანდიდატი ქ. გურჯაანის ოთხ სოფელში: მუკუზანი, ზეგანი, ახაშენი და ჭერემი.

ამ წლების განმავლობაში ავითანე ბევრი პოლიტიკური უსამართლობა, ბევრი დამცირება, ბევრი უგულვებლყოფა, ბევრი იმედგაცრუება, რამაც საკუთარი თავის რწმენა და ძალა შემმატა. დღევანდელი გადასახედიდან ვთვლი, რომ პოლიტიკოსის ჩამოსაყალიბებლად ეს ყველაფერი საჭირო გასავლელი იყო, რადგან უკეთ დავიწყე ადამიანების შეცნობა და პოლიტიკური ნაბიჯების უკეთ გათვლა.

ვიცი, ჩემი განაცხადი უცნაურად მოგეჩვენებათ, მაგრამ მე მინდა ვიყო სამართლიანი პოლიტიკოსი. ვფიქრობ, დროა მეტი პასუხისმგებლობა ავიღო საკუთარ ქვეყანაზე და ხალხზე, ვიყო მათი იმედი, მათი დასაყრდენი საჭიროების შემთხვევაში, დავიცვა ადამიანის უფლებები. მგონია, რომ სახალხო დამცველის თანამდებობა მომცემს ბევრ შესაძლებლობას ვანახო ადამიანებს ობიექტური მხარე და არ ვიყო სუბიექტური ჩემს გადაწყვეტილებებში.

დღეს არ ვარ არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი. მე დავტოვე პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რადგან ჩვენი შეხედულებები გაიყო. მე ვერ ვიქნები იმის თანამონაწილე, რასაც მთელი ცხოვრება ვებრძვი და ეს არის-უსამართლობა!

ბატონო შალვა, მინდა პირადად წაიკითხოთ ჩემი გულწრფელი წერილი და თავად გადაწყვიტოთ, ასევე განიხილოთ ჩემი კანდიდატურა. მოხარული ვიქნები თუ მომეცემა დამოუკიდებელი მუშაობა ხალხთან და უსამართლობასთან ბრძოლის საშუალება. ვთვლი, რომ ქვეყანა სხვა პოლიტიკური განვითარების რელსებზე უნდა გადავიდეს, თუ ამას თქვენვ ხელს შეუწყობთ, მოხარული ვიქნები. ჩვენ ერთი ქვეყნის შვილები ვართ და ეს ქვეყანა ყველას გვეკუთვნის. დროა, დამთავრდეს პოლიტიკური ნიშნით ხალხის დიფერენცირება...

პატივისცემით: მაკა მინდიაშვილი

20.09.2022 წ